საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/1906-17

„ 15 " 06 2017წ

შპს „სამნეტ (samnet)"-ს

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 22 ივნისს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „სამნეტ (samnet)"-ისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილებისა და „შპს „სამნეტ (samnet)"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე" კომისიის 2017 წლის 6 აპრილის N236/18 გადაწყვეტილების დარღვევის გამო, რისთვისაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არა უმეტეს 30000 ლარისა (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2017 წლის პირველი ივნისის Nშ-10/4208-17 მოხსენებითი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2017 წლის 15 ივნისი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „სამნეტ (samnet)"-ს უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანიის წარმომადგენელი არ გამოცხადდება კომისიის სხდომაზე, კომისია საკითხს განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას მისი დასწრების გარეშე.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2017 წლის პირველი ივნისის Nშ-10/4208-17 მოხსენებითი ბარათი - 5 ფურცი;

კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი

იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ პავლე ბერიას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის ნათია დევდარიანის

## სამსახურებრივი ბარათი

ბატონო პავლე,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 31 მაისის მდგომარეობით, შპს „სამნეტს (samnet) კომისიის 2017 წლის 06 აპრილის N236/18 გადაწყვეტილების (შპს „სამნეტ (samnet)"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე) მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია.

ასევე გაცნობებთ, რომ კომპანიამ კომისიაში წარმოადგინა 2017 წლის თებერვალი, მარტი და აპრილის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშებები (1,9 ფორმა) და 2013 წლის თებერვლის თვის, 2014 წლის აპრილის თვის და 2014 წლის ივნისის თვის შემდეგ 2017 წლის იანვრის თვის ჩათვლით რეგულირების საფასურის გაანგარიშებების ფორმების კომისიაში წარმოუდგენლობის გამო დავალიანება ვერ დგინდება.

კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების შესაბამისად, კომპანიას ზედმეტად ერიცხება რეგულირების საფასური - 1,728,37 ლარი.

დანართი: 04 ფურცელი, 01 ეგზ.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
01/06/2017

7-10/4208-17
01.06.17
1+4

ქ. ბერიძეს

რეაგირებისათვის

ვ. აბაშიძე
16.05.2017წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

## მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ შპს „სამნეტს (samnet) კომისიის 2017 წლის 06 აპრილის N236/18 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია.

ასევე გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით კომპანიას ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ვერ ჩაბარდა იხ. დანართი NN1,2.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის შესაბამის დეპარტამენტს/სამსახურს.

დანართი: 02 ფურცელი, 01 ეგზ.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
16/05/17

ნ. დევდ

7.10/3872-17
16.05.17
+2

დანართ №1

| | |
|---|---|
| გზავნილის სახეობა: | წერილობითი კორესპონდენცია |
| გაგზავნის თარიღი: | 28.04.2017 15:37 |
| გზავნილის კოდი: | AP01002647099 |
| გამგზავნი: | "საქ. კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (204953050) |
| გამგზავნის გზავნილის ნომერი: | 03/1151-17 |
| გამგზავნის მისამართი: | წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ.50/18, თბილისი, საქართველო |
| ადრესატი: | შპს "სამნეტ (samnet) |
| ადრესატის მისამართი: | 26 მაისის ქ. 69, სამტრედია, საქართველო |
| [illegible]: | ნინო ჯავახიძე |
| სტატუსი: | დაბრუნებულია გამგზავნთან |
| კურიერის ვიზიტის თარიღი: | 02.05.2017 12:25 |
| კურიერი: | ვახო ბერიძე |
| ჩაიბარა: | maia ninua 01024018438 (ორგანიზაციის წარმომადგენელი) |
| კომენტარი: | kancelariis tanamshromeli |

ხელმოწერა: ნინე

| | |
|---|---|
| გზავნილის სახეობა: | წერილობითი კორესპონდენცია |
| გაგზავნის თარიღი: | 28.04.2017 15:37 |
| გზავნილის კოდი: | AP01002647099 |
| გამგზავნი: | "საქ. კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (204953050) |
| გამგზავნის გზავნილის ნომერი: | 03/1151-17 |
| გამგზავნის მისამართი: | წამებულის გამზ./სოქორმის ქ.50/18, თბილისი, საქართველო |
| ადრესატი: | შპს"სამნეტ (samnet) |
| ადრესატის მისამართი: | 26 მაისის ქ. 69, სამტრედია, საქართველო |
| ჩამბარებელი: | ნინო ჯავახიძე |
| სტატუსი: | დაბრუნებულია გამგზავნთან |
| კურიერის ვიზიტის თარიღი: | 29.04.2017 10:51 |
| კურიერი: | დავით თუთისანი |
| მიზეზი: | ადრესატი არ იმყოფება მისამართზე |
| შენიშვნის აღწერა: | mItitebul misamartze mexovrebis ganmartebit adresati ar cxovrobs agnishnul misamartze |

**Natalia Janelidze**

| | |
|---|---|
| **From:** | Nino Amiridze <namiridze@gncc.ge> |
| **Sent:** | Thursday, May 18, 2017 12:49 PM |
| **To:** | natalia@gncc.ge; ndevdariani@gncc.ge |
| **Subject:** | FW: |

გოგოებო გამოვაქვეყნეთ სამნეტის გადაწყვეტილება და დღეიდან ათი სამუშაო დღის ვადაში თუ არ წარმოადგენენ არაფერს მოიწერეთ და დავიწყებთ წარმოებას☺

**From:** Ketevan Akhobadze [mailto:kakhobadze@gncc.ge]
**Sent:** Thursday, May 18, 2017 11:36 AM
**To:** 'Nino Amiridze'
**Cc:** 'Maia Ninua'
**Subject:** RE:

http://gncc.ge/ge/news/shetyobinebebi/komisiis-n23618-gadawyvetileba-shps-samnet-samnet-s.page

Best Regards,

**Ketevan Akhobadze**
Public Relations Department
Georgian National Communications Commission
Adress: Tbilisi, 0144 Ketevan Tsamebuli ave/Bochorma st.50/18 | Mobile: +995 599 77 11 17
E-mail : kakhobadze@gncc.ge

**From:** Nino Amiridze [mailto:namiridze@gncc.ge]
**Sent:** Thursday, May 18, 2017 10:25 AM
**To:** 'Keta Akhobadze'
**Subject:**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობის მიუხედავად შპს "სამნეტ (samnet)"-ს ვერ ჩაბარდა კომისიის 2017 წლის 6 აპრილის N236/18 გადაწყვეტილება -„შპს „სამნეტ (samnet)"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე". შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მიზნით აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი საჯაროდ ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.